

არარეგულირებული პროსტიტუცია საქართველოში

როსტომი ლეჟავა, ვალერი არველაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახაბერ ურიადმოფელი
მოწვეული ლექტორი,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისი, 2017

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

როსტომი ლეჟავა, ვალერი არველაძე

თბილისი, 26 ივნისი, 2017

აბსტრაქტი

კვლევა ეხება საქართველოში არსებულ არარეგულირებულ პროსტიტუციას, მის გამომწვევ მიზეზებსა და ფაქტორებს. კვლევის ფარგლებში გავცნობით პროსტიტუციის მარეგულირებელ ქართულ კანონმდებლობას, ვისაუბრებთ პროსტიტუციის რეგულირების სხვადასხვა მოდელზე, მათ სუსტ და ძლიერ მხარეებზე. კვლევაში უმნიშვნელოვანესი ნაწილი ეთმობა პროსტიტუციის შვედური მოდელის ანალიზს. შვედური მოდელი გულისხმობს პროსტიტუციის ფაქტზე არა პროსტიტუტის, არამედ მომხმარებლის, კლიენტის დასჯადობას. კვლევის ბოლოს გამოტანილია დასკვნა, თუ რამდენად გაამართლებს შვედური მოდელის დანერგვა საქართველოში, რამდენად მზად არის ამისათვის სახელმწიფო და საზოგადოება.

კვლევის პროცესში წარმოიშვა პრობლემა თუ რა გვეწოდებინა ქალისთვის, რომელიც პროსტიტუციაშია ჩართული. საბოლოო არჩევანის გაკეთება მოგვიხდა სექს-მუშაკსა და პროსტიტუტს შორის. ვინაიდან ჩვენი კვლევის ძირითადი ნაწილი ეთმობა იდეას, რომ პროსტიტუცია ქალის ექსპლუატაციის ყველაზე გავრცელებული და ამორალური ფორმაა და არა ღირსეული სამუშაო, მიზანშეუწონლად ჩავთვალეთ სიტყვა სექს-მუშაკის გამოყენება, შესაბამისად ქალს, რომელიც პროსტიტუციით არის დაკავებული ვუწოდებთ პროსტიტუტს.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში ძირითადი აქცენტი კეთდება ქალ პროსტიტუტებზე და მათ პრობლემებზე, შესაბამისად ტერმინი პროსტიტუტი გამოყენებულია პროსტიტუტი ქალის აღსანიშნად.

ძირითადი საძიებო სიტყვები : „არარეგულირებული პროსტიტუცია“, „პროსტიტუციის შვედური მოდელი“, „პროსტიტუციის ლეგალიზაცია“

Abstract

This inquiry is about prostitution in Georgia, which currently is out of regulation. We are going to find out reasons and factors, which determine existing situation. Within our inquiry, we will discuss all legislation acts, which are supposed to regulate prostitution in Georgia. We are going to examine different legislative systems regulating prostitution, such as: legalization, decriminalization and Swedish model of prostitution. Swedish model of prostitution is punishing consumers for sexual activities instead of prostitutes, it tends to combat demand for sexual services for combating prostitution in general. After finishing inquiry we are going to make assumption whether Swedish model of prostitution will work in Georgia or not and if our society is ready for such kind of changes ?

We were wondering what to call woman, whose regular job is prostitution. Clearly, this is very specific and sensitive topic. We decided to call those women prostitutes, not sex-workers, because we don't consider prostitution as a regular job. In this case, we find term "sex-worker" incorrect and unacceptable.

During our inquiry, we are going to talk mainly about issues of woman prostitutes and their troubles, so term prostitute will remark woman prostitute.

Key words : "Prostitution out of regulation", "Swedish model of prostitution", "Legalization of Prostitution"